

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით

With the right of manuscript

თამარ ხახიშვილი

Tamar Khakhishvili

ეკოტურისტული კლასტერი, როგორც საქართველოს
კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური მექანიზმი

Ecotourism cluster as an effective tool to enhance
competitiveness of Georgia

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
Educational programme: Business Administration

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the
PhD Degree in Business Administration

რეზიუმე

Abstract

თბილისი

Tbilisi

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ხახიშვილი

ეკოტურისტული კლასტერი, როგორც საქართველოს
კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური მექანიზმი

საგანმანათლებლო პროგრამა:
ბიზნესის ადმინისტრირება

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის
ადმინისტრირების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

შოთა საღრიშვილი, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

მურთაზ კვიციანი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი

ქენეთ პოლ შარმანი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი;
კონსულტანტი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება
უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის
სკოლის საატესტაციო - საექსპერტო კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ
რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში,
თბილისი, ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-
13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	4
კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი	4
სამეცნიერო კვლევის მიზანი და ამოცანები.....	5
ნაშრომის ჰიპოთეზა.....	6
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი.....	6
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა	10
კვლევის შედეგები	11
განსჯა და მეცნიერული მიგნებები.....	15
დასკვნა და რეკომენდაციები	21

შესავალი

კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი: ყველა ერთმნიშვნელოვნად თანხმდება, რომ საქართველოს ეკონომიკური წინსვლისა და ეფექტიანობის ამაღლების პროცესში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უაღრესად დიდ როლს თამაშობს. ხშირად სახელმწიფოები კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიების განსაზღვრისას მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებენ. განვითარების სტრატეგიებში მკვეთრად არ არის იდენტიფიცირებული ის დარგები და ინდუსტრიები, რომლებთაც შეუძლიათ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში უდიდეს როლს რომ კლასტერები თამაშობს, ეს სიახლეს უკვე აღარ წარმოადგენს. ამასთან, მისი პოტენციალის სწორად გამოყენების შემთხვევაში, კლასტერების საშუალებით მიღებული სარგებელი უსაზღვროა. შესაბამისად, საკითხი ამოუწურავია და კლასტერისთვის პოტენციური დარგების კვლევა დაუსრულებელ პროცესს უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულის ფონზე, მოცემული სამეცნიერო კვლევისთვის აქტუალურ შეკითხვად რჩება საკითხი - არის თუ არა ნებისმიერი კლასტერი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი ფაქტორი? პრობლემის არსი სწორედ აღნიშნულში მდგომარეობს. ხშირ შემთხვევაში ქვეყნები ცდებიან და აქცენტს აკეთებენ ისეთი კლასტერების განვითარებაზე, რომლებთაც მცირე ეკონომიკური სარგებლის მოტანა შეუძლიათ სხვა, უფრო მაღალი პოტენციალის მქონე კლასტერებთან შედარებით. შესაბამისად, პრობლემა მდგომარეობს კლასტერების განვითარებისთვის დასახულ პრიორიტეტებსა და არასწორად გაკეთებულ არჩევანში.

ნაშრომზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ინტერდისციპლინური მიდგომა კვლევისადმი. აღნიშნული მიდგომა ცალსახად ვლინდება კვლევის საგნის ირგვლივ არსებული მომიჯნავე და მონათესავე დარგების ანალიზში. გარდა იმისა, რომ კვლევა ეხება ბიზნეს სექტორსა და კლასტერების განვითარებას, იგი ემსახურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის

ამაღლებას, რაც ნაწილობრივ იკვეთება პოლიტიკურ მეცნიერებებთან, სახელმწიფო მმართველობასა და საჯარო ადმინისტრირებასთან. კვლევის ინტერდისციპლინურობა კიდევ ერთხელ მიანიშნებს საკვლევი თემის აქტუალობაზე და ხაზს უსვამს მისი ძირფესვიანი კვლევის აუცილებლობას.

სამეცნიერო კვლევის მიზანი და ამოცანები: სამეცნიერო კვლევის მიზანს წარმოადგენს: (1) საქართველოში კლასტერების განვითარების მწირი გამოცდილების კვალობაზე, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში აპრობირებული მიდგომის - კლასტერული განვითარების თეორიისა და საუკეთესო პრაქტიკის სისტემური შესწავლა და კონკრეტული დარგის მაგალითზე, საქართველოში მისი დანერგვის შესაძლებლობების გამოვლენა; (2) საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის დიდი პოტენციალის მქონე ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების - ეკოტურიზმის დარგის პოტენციალის დასაბუთება და მისი განვითარებისთვის სამოქმედო ნაბიჯების იდენტიფიცირება მსოფლიოს სხვა ქვეყნების მაგალითზე; (3) ეკოტურიზმის კლასტერის ჩამოყალიბების ინიცირებისათვის წინაპირობების დაკმაყოფილება და მისი ფორმირებისათვის პრაქტიკული რეკომენდაციების გაწევა.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად უმთავრეს ამოცანებს წარმოადგენს: (1) თეორიული ბაზის განზოგადება და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმის - კლასტერების მოდელების ანალიზი, მათი როლის ხაზგასმა (2) საქართველოს ეკოტურიზმის დარგის პოტენციალის სამეცნიერო დონეზე შესწავლა; (3) უცხოეთის ქვეყნების ეკოტურიზმის კლასტერების მაგალითების განხილვა; (4) ეკოტურიზმის ბაზრის მზაობის შეფასება კლასტერის ჩამოყალიბების შესაძლებლობის მიმართ; (5) ინოვაციური პროცესების პირობებში, საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა.

ნაშრომის ჰიპოთეზა: ნაშრომში წარმოდგენილია ვარაუდები, რომლებიც შემდეგი ჰიპოთეზების შემოწმებას ემსახურება:

- თუ საქართველო ორიენტირებულია საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ქვეყანა კლასტერული პრინციპით უნდა განვითარდეს;
- ქვეყნის კლასტერული პრინციპით განვითარება უზრუნველყოფს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში;
- კლასტერული პრინციპით განვითარებისთვის, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ახალი, მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე დარგების იდენტიფიცირება;
- საქართველოში მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე დარგი ეკოტურიზმია;
- ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უწყვეტი ჯაჭვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ეკოტურიზმის კლასტერი, დარგში მოღვაწე კერძო და საჯარო ორგანიზაციებმა შექმნან ე.წ. „ნეთვორქინგი“-ს საუკეთესო მაგალითი და „თოვლის გუნდის“ პრინციპით მოახდინონ ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდა.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

ნაშრომში თავმოყრილია იმ ექსპერტთა და მკვლევართა სამეცნიერო ხასიათის მასალები, რომლებიც აღიარებულნი არიან მსოფლიოს მასშტაბით საკვლევი საგნის ირგვლივ შემუშავებული ნაშრომებით, ანგარიშებით.

კლასტერებზე საუბარს მისი კლასიკური განმარტებით დავიწყებთ. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მაიკლ პორტერი კლასტერს განმარტავს როგორც კომპანიების, მომწოდებლების, ასევე ურთიერთდაკავშირებული მომიჯნავე და მონათესავე

ინდუსტრიების ფირმათა ჯგუფს, რომლებიც შემოკრებილნი არიან განსაზღვრული დარგის ირგვლივ. კლასტერის ფარგლებში კომპანიები თანამშრომლობენ, თუმცა, რიგ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის კონკურენტებიც არიან. ეკონომისტი თვლის, რომ კლასტერების არსებობა მოწინავე ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და მას ეკონომიკური განვითარების სასიცოცხლო ინგრედიენტად მიიჩნევს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ კლასტერი შეიძლება არსებობდეს ასევე შედარებით მცირე ინდუსტრიებსა და განვითარებად ქვეყნებში. კლასტერი მოქცეულია კონკრეტულ გეოგრაფიული არეალში, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ რომელიმე ქალაქის თუ ქვეყნის საზღვრებით. მაიკლ პორტერი ეთანხმება ეკონომისტთა ნაწილს, რომლებიც თვლიან, რომ კლასტერის შემადგენელი ნაწილების იდენტიფიკაციისას, პირველ რიგში ხდება მსხვილი კომპანიების აღება და შემდეგ მათთან დაკავშირებული ფირმების ვერტიკალური და ჰორიზონტალური პრინციპით დაკავშირება.

პროფესორი მაიკლ პორტერის აზრს ემხრობა ეკონომისტი პოლ კრუგმანიც, რომელიც კლასტერს ეკონომიკურ აგლომერატთან აიგივებს და გვთავაზობს „ცენტრი-პერიფერიის“ მოდელს. კლასტერის ირგვლივ საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს ასევე პროფესორი კრისტიან კეტელსი, რომელიც აღნიშნავს, რომ კლასტერი ერთ ღამეში არ ჩნდება ან არ უჩინარდება. კეტელსის კვლევა აჩვენებს, რომ კლასტერების ჩამოყალიბებას რამდენიმე წელი სჭირდება, ხშირ შემთხვევაში კი ათწლეულებიც შეიძლება დასჭირდეს. XIX-XX საუკუნის ცნობილი ეკონომისტი ალფრედ მარშალი კლასტერის დასახასიათებლად იყენებს ტერმინს „სამრეწველო რაიონი“. მარშალის მიერ აღწერილი კლასტერის მოდელი მცირედით განსხვავდება პორტერის მოდელისგან. კლასტერების ფორმირების და განვითარების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის პროფესორი ანა მარკუზენი, რომელიც თავის ნაშრომებში კლასტერის ოთხ მოდელს გამოყოფს. კლასტერების კონცეფციამდე მეცნიერები ანდერს მალმბერგი, ორჰან სოლველი და ივო ზანდერი კომპანიებს შორის ურთიერთობების შესწავლის პროცესში მივიდნენ. მათ შეისწავლეს ფირმებს შორის ურთიერთკავშირი და გამოყვეს ფირმების

აგლომერაციების ოთხი მოდელი. პროფესორი ინეზა გაგნიძე კლასტერს ნაციონალური ეკონომიკის ხედვის ახალ საშუალებას უწოდებს და დასძენს, რომ იგი კომპანიებსა და მთავრობებს ახალ როლს უმატებს კონკურენტული უპირატესობების მიღწევის პროცესში. ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი თავის ნაშრომში კლასტერების მნიშვნელობას განუზომლად აფასებს. იგი ეთანხმება პროფესორ პორტერს და დასძენს, რომ მოწინავე ქვეყნების ეკონომიკაში კონკურენცია ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების ეფექტიანობას ეფუძნება. მკვლევარი დავით დარსაველიძე მის ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ კლასტერების თეორია აქტიურად გამოყენებადია ისეთ ქვეყნებში როგორცაა ამერიკის შეერთებულ შტატები, ახალი ზელანდია, გერმანია, იაპონია, ინგლისი, ნიდერლანდები, პორტუგალია, საფრანგეთი, ასევე განვითარებადი ქვეყნები: ინდოეთი, ბრაზილია, პაკისტანი და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ თეორია აქტიურად გამოიყენება ქვეყნების თუ ქალაქების გაერთიანებებშიც: ევროკავშირი (EU), ევროპის ქალაქთა ქსელი (EUROCITIES), მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და მრავალი სხვა. მკვლევარ მერაბ დიასამიძის გაგებით, კლასტერი ასოცირდება „საერთო საკითხებზე მომუშავე კომპანიებისა და ორგანიზაციების დაჯგუფებასთან, რომლებიც მოქმედებენ განსაზღვრულ სფეროში და ხასიათდებიან საქმიანობის ერთიანობითა ან/და ურთიერთშევესებით“. პროფესორ ლარისა ყორღანაშვილის სტატიაში ვკითხულობთ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ეკონომიკური განვითარების მართვის დარგობრივმა მიდგომებმა აქტუალობა დაკარგა და ქსელურ მართვაზე გადავიდა. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ბადრი გეგზაია კი მის ერთ-ერთ სტატიაში კლასტერული განვითარების სამ ძირითად „ცენტრს“ გამოყოფს, კერძოდ: ჩრდილო-ამერიკულს, დასავლეთ-ევროპულს და აზიურს.

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ სამეცნიერო ინფორმაციის განხილვას ეთმობა. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი პროფესორი სტეფან გარელი კონკურენტუნარიანობას მიიჩნევს, როგორც ქვეყნებისა და

კომპანიების მართვის უნარს კეთილდღეობის შექმნისა და სარგებლის მიღების უზრუნველსაყოფად. მკვლევარ მერაბ დიასამიძის მეცნიერული ხედვით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დაკავშირებულია მის რესურსების ეფექტიან გამოყენებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდასთან. მის აზრს იზიარებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძეც. იგი ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე საუბრობს და აღნიშნულ პროცესებს გლობალიზაციას უკავშირებს. ინეზა გაგნიძის მსგავსად, გლობალიზაციის საკითხებზე საუბრობს ლეილა ცეცხლაძეც.

რამდენადაც ნაშრომში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებად ეკოტურიზმის დარგის განვითარება და კლასტერის დაარსებაა მოსაზრებული, ნაშრომის თეორიული კონტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკოტურიზმის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას ეხება. ტერმინი „ეკოტურიზმი“ მექსიკელი ეკონომისტ-ეკოლოგის ჰექტორ სებალოს-ლასკურენის სახელს უკავშირდება, როდესაც მან აღნიშნული ტერმინი პირველად 1983 წელს დაამკვიდრა. თავდაპირველად, სებალოს-ლასკურენმა ეკოტურიზმი შემდეგი სახით განმარტა: „ეკოტურიზმი - ესაა მოგზაურობა ბუნებრივ, ხელუხლებელ ტერიტორიებზე სპეციფიკური მიზნით, კერძოდ, ცალკეული საკითხის შესასწავლად, ბუნების პეიზაჟების, ველური ბუნების მცენარეებით და ცხოველებით ტკბობისთვის“. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი მათა ბლიაძე ეკოტურიზმის საწყისებს იხსენებს და გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ 1983 წლამდე მანამ, სანამ ეკოტურიზმის ცნებას ჰექტორ სებალოს-ლასკურენი სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებდა, ეკოტურიზმის იდეას ხორცი 1960-იან წლებში შეესხა. პროფესორი მალხაზ ღვინჯილია მიიჩნევს, რომ ტურიზმი თანამედროვე ცხოვრების ყველაზე დინამიური დარგია, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მაღალმემოსავლიან ინდუსტრიას. მერაბ დიასამიძის პრიორიტეტად არის მიჩნეული ტურისტული ინფრასტრუქტურის არსებობა. დარგის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს ასევე მანანა

- i. თვისებრივი ტექსტური ინფორმაციის ანალიზი - სამეცნიერო ხასიათის თეორიული მასალის დამუშავება ლოგიკური, ეკონომიკური ანალიზის, სისტემურ-სტრუქტურული საფუძვლებით; მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჰიპოთეზის წამოყენების/დამუშავების/შემოწმების მეთოდს.
- ii. ექსპერტული ინტერვიუს მეთოდი - ჩატარებულია 3 ექსპერტული ინტერვიუ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების და ეკოტურიზმის კლასტერის წარმომადგენლებთან. ექსპერტული ინტერვიუებისთვის შერჩეულ იქნა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელი, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე და რუმინეთის ეკოტურისტული კლასტერის მმართველი გუნდის წევრი.
- iii. ანკეტური გამოკითხვის მეთოდი - საქართველოს ეკოტურიზმის დარგის ანალიზისა და კლასტერის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის დასადგენად, ჩვენი ამოცანა იყო გაგვეგო იმ სტრატეგიული სუბიექტების პროფესიონალური მოსაზრება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ეკოტურიზმის განვითარებაში.

კვლევის შედეგები

თეორიული მასალის განხილვა გვამძევს საშუალებას თავისუფლად ვთქვათ, რომ მოცემული ნაშრომი პირველი მცდელობაა საქართველოში, სამეცნიერო დონეზე ერთმანეთთან კავშირში განხილულიყო ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, პროდუქტიულობა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, კლასტერები და ეკოტურიზმი. აღნიშნული ცვლადები ერთი შეხედვით დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, თუმცა მათი ეფექტური კოორდინაციის გზით შესაძლებელია მიღწეულ იქნას ქვეყნების კეთილდღეობა და გაზრდილი კონკურენტუნარიანობა. ნაშრომი ცხადყოფს, რომ ეს თითქოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ცვლადები რეალურად მნიშვნელოვან ურთიერთკავშირში იმყოფებიან და საინტერესო პროცესებს უდებენ საფუძველს.

იმ ფონზე, რომ ქვეყანაში კლასტერების და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ არც თუ ისე ფართო ლიტერატურა მოიძებნება, კვლევის პროცესში დამუშავდა 120 წყაროზე მეტი, მათ შორის ნახევარზე მეტი უცხოენოვანი, ნაშრომში მოყვანილია 60-ზე მეტი მკვლევარის პროფესორის, პოლიტიკოსის თუ დარგის ექსპერტის მეცნიერული მოსაზრება საკვლევ თემებთან დაკავშირებით.

კვლევების შედეგად ხაზი გაესვა კლასტერის უმნიშვნელოვანეს როლს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროცესში. მიჩნეულია, რომ კლასტერი არის ძირითადი წყარო სამუშაო ადგილების შექმნისთვის განსაკუთრებით SME სექტორში.

კლასტერების მნიშვნელობა შეუფასებელია, რადგან დადგინდა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთგვარ პლატფორმას ცოდნის დაგროვების, უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვისთვის. აღსანიშნავია, რომ კლასტერი განსაკუთრებულად აძლიერებს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

როგორც მეცნიერთა ნაშრომებით დასტურდება, კლასტერის სრულყოფილად ფორმირებას 10 ან მეტი წელი მაინც სჭირდება და საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. რთულია ითქვას, როდის აღწევს კლასტერი თავის მაქსიმუმს, რადგან მისი სრულყოფა რთულად პროგნოზირებადია. ირკვევა, რომ კლასტერმა კონკურენტუნარიანობა ასწლეულების მანძილზე შეიძლება შეინარჩუნოს. თუმცა, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც კლასტერის განვითარება არაა გარანტირებული, ისე არასდროს არაა გარანტირებული მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებაც.

ეკოტურიზმის კლასტერის საერთაშორისო მაგალითების განხილვამ მოგვცა საშუალება დაგვენახა რეალური სურათი: ეკოტურისტული კლასტერები მსოფლიოში წარმატებით ვითარდება, იზრდება კლასტერების რაოდენობა, იზრდება თავად კლასტერებში არსებული ბიზნესების რაოდენობა. ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მათი ზრდის ტენდენციებთან მიმართებაში, თუმცა, ეკოტურისტული კლასტერების ირგვლივ

სტატისტიკური ინფორმაცია, ფინანსური მიღწევები, პროგნოზები და სხვა ისეთი ხასიათის ინფორმაცია, რაც მის ფინანსურ ეფექტიანობას კიდევ უნდა სარწმუნოს გახდიდა, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის და მხოლოდ ოფიციალურად, კლასტერის მმართველი სტრუქტურისგან გამოთხოვის შემდეგ შევძელით. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი სახის ინფორმაცია უაღრესად საინტერესო და სასარგებლოა ბიზნეს პროგნოზების გასაკეთებლად, აღნიშნული ფაქტი მოცემულ დისერტაციაში კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობის სადემონსტრაციო მოდელის შემუშავებაზე ფიქრის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

ნაშრომის თითოეული ქვეთავი ცხადყოფს, რომ კლასტერის ჩამოყალიბებას და მის შესაბამისად განვითარების ხელშეწყობას მრავალ დარგში მოაქვს სარგებელი. საქართველოს შემთხვევაში კი, ეკოტურიზმი ერთ-ერთი (საუკეთესო თუ არა) უნიკალური ღირებულებაა, რადგან ტურიზმის მოცემული მიმართულება საკმაოდ პერსპექტიულია საქართველოს ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტების და ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ ეკოტურისტულ კლასტერს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და ამოცანები აქვს. წარმატებული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობა და ნდობა არსებობდეს, ამასთან, თითოეულ ორგანიზაციას, რომელიც ეკოტურიზმითაა დაკავებული ბუნების და თვით, ეკოტურისტული ბიზნესის მიმართ მაღალი “ownership” გრძნობა უნდა გააჩნდეს.

საქართველოში ეკოტურიზმის კლასტერის განვითარების პოტენციალის მეტი სპეციფიკაციისთვის ნაშრომი ეყრდნობა ასევე ინტერვიუების და კითხვარის მეთოდით მიღებულ ინფორმაციას. ექსპერტული ინტერვიუს მთავარი მიზნის შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარესთან ინტერვიუმ გამოკვეთა ის ძირითადი ხედვა, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურები ემყარებიან ეკოტურიზმის განვითარების პროცესში; სახელმწიფო ცდილობს მოახდინოს მსხვილი კერძო ბიზნესის შემოყვანა დაცულ ტერიტორიებზე, რათა მათ მიერ

განხორციელებულმა მსხვილმა ინვესტიციებმა მოახდინოს ვიზიტორთა რაოდენობის მატება, ამ უკანასკნელმა კი შემდგომში განაპირობოს მცირე და საშუალო ბიზნესის ეკოტურისტულ საქმიანობაში ჩართვის წახალისება.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ინტერვიუმ გამოკვეთა ქვეყნის ხედვა და ეკოტურიზმის დარგის პრიორიტეტულობა. საინტერესოა, რომ GNTA ეკოტურიზმის განვითარებას სხვა ტურისტულ პროდუქტებთან ერთობლიობაში ხედავს და მას აგრო და ეთნო ელემენტებთან ერთობლიობაში განიხილავენ. კიდევ ერთი საინტერესო ხედვა, რასაც GNTA ეფუძნება არის ახალი ბაზრების ათვისების მიზნით, სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებების მასპინძლობა. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს ათიათასობით ვიზიტორის შემოსვლას ქვეყანაში, რაც თავის მხრივ, დიდ პოპულარობას, შემოსავლებს და ცნობადობას განაპირობებს.

მეორე მხრივ, უაღრესად საინტერესო ინფორმაციის მოპოვება შევძელით რუმინეთის ერთ-ერთი ეკოტურისტული კლასტერის მმართველი გუნდის წარმომადგენლებისგან. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანი პროგნოზების გაკეთების საშუალებას გვაძლევს საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის ანალოგიური პრინციპით განვითარების შემთხვევაში. ინტერვიუს შედეგები ცხადყოფს, რომ კლასტერში გაწევრიანების შემდეგ კომპანიები, სულ მცირე, აორმაგებენ მაინც შემოსავლებს, მომხმარებელთა რაოდენობა კი 2,5-ჯერ იზრდება. კლასტერებში გაერთიანების სურვილი ბიზნესების მხრიდან მზარდია, ბოლო 5 წელიწადში რაოდენობა 300%-ითაა გაზრდილი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კლასტერის წლიური ბრუნვა 3 მილიარდ ამერიკულ დოლარს აჭარბებს, რაც უთუოდ მიუთითებს მის უსაზღვრო ეკონომიკურ სარგებლიანობაზე.

ანკეტური კვლევით მიღებული შედეგები განაპირობებს იმ ფაქტის განმტკიცებას, რომ ეკოტურიზმის კლასტერის დაარსება საქართველოში აქტუალურია, ეკოტურიზმის სერვისის მიმწოდებლები კი აცნობიერებენ მისი მეშვეობით მიღებულ

სარგებელს და გამოხატავენ მზაობას ჩაერთონ დარგის კლასტერული პრინციპით განვითარებაში.

მიუხედავად კვლევის რელევანტურობისა საკვლევ საგანთან, უნდა აღინიშნოს ის შეზღუდვებიც, რაც დაკავშირებულია პასუხების ცდომილებასთან. მოცემული კვლევით ჩვენ განვაზოგადეთ ინფორმაცია და მივიღეთ წვდომა ძირითადი ეკოტურისტული არეალების და მის ირგვლივ არსებული ბიზნეს ოპერატორების შეხედულებების შესახებ, თუმცა, ცხადია, არსებობს შანსი, რომ აღნიშნული განზოგადება 100%-ით მართებული არ იყოს.

ზემოთაღნიშნულ სამეცნიერო შეხედულებებზე დაყრდნობით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კლასტერებსა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობას შორის პირდაპირპროპორციული კავშირია - ვითარდება კლასტერები, ვითარდება ქვეყნების კონკურენტუნარიანობა. თუმცა, ამ ფრიად მნიშვნელოვან პროცესში აუცილებელია ყურადღება მიექცეს დარგს, რომლის განვითარებისკენ ხდება ფინანსური თუ ადამიანური რესურსის მიმართვა. განვითარებისთვის არასწორად შერჩეული დარგი და სტრატეგიული ხედვის გარეშე ჩამოყალიბებული ბიზნეს კლასტერი ვერასოდეს ვერ გახდება დიდი ეკონომიკური გარდატეხის წინაპირობა.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

აღნიშნული ნაშრომში მიმოვიხილეთ კლასტერების და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის თეორიული ასპექტები, ასევე მკვლევარების და პროფესორების შეხედულებები და მეცნიერული ნააზრევები მათი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ინტერვიუების და ანკეტირების მეშვეობით გამოკვლეულ იქნა ეკოტურიზმის, როგორც კლასტერისთვის პოტენციური დარგის ანალიზი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მწირი ქართულენოვანი ლიტერატურისა კლასტერების, ქვეყნების

კონკურენტუნარიანობის და ეკოტურიზმის შესახებ, აღნიშნული წლების განმავლობაში სადისერტაციო ნაშრომზე აქტიური მუშაობის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა დაგვესაბუთებინა საქართველოში კლასტერების განვითარების სასიცოცხლო როლი მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, ამასთან შემოგვეტანა ახალი ტერმინი „ეკოტურიზმის კლასტერი“ და გვესაუბრა მის, როგორც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, უმნიშვნელოვანესად დიდ პოტენციალზე.

კვლევის შედეგებით ვლინდება საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის, როგორც საქართველოს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი მიმართულების, დაარსების მიზანშეწონილობა. გავანალიზეთ რა, თეორიული მასალები, ინტერვიუების და ანკეტირების შედეგები, შემუშავებულ იქნა საქართველოში ეკოტურიზმის კლასტერის მოდელი, რომელიც მოიცავს 12 საფეხურს: *პირველ ეტაპზე* უნდა გამოვლინდნენ პოტენციური დაფუძნებლები. საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის შემთხვევაში, ეს სასურველია, იყოს დაცული ტერიტორიების სააგენტო ან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. *მეორე ეტაპზე* მოძიებულ უნდა იქნას სხვა დარგის ისეთი კლასტერები, რომელშიც აკუმულირებულია ცოდნა, გამოცდილება, ინვესტიციები. საქართველოს შემთხვევაში, ეკოტურისტული კლასტერები არ გვხვდება, თუმცა გამოცდილების გაზიარებისთვის, შეგვიძლია დავყვრდნოთ უკვე არსებულ, ავეჯის წარმოების კლასტერს და IT კლასტერს. *მესამე ეტაპზე* უნდა განხორციელდეს დარგის პირველადი მოკვლევა და სიტუაციური ანალიზი. ამ ეტაპზე სასურველია ხორციელდება დარგის მხოლოდ ზედაპირული მოკვლევა. მნიშვნელოვანია, შეფასდეს ეკოტურიზმის დარგის პოტენციალი, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობა, დარგით საინტერესებული მხარეების ანალიზი და აღნიშნულის საფუძველზე შემუშავდეს პირველადი სამოქმედო გეგმა. *მეოთხე ეტაპზე* უნდა მოხდეს კლასტერის მმართველი ჯგუფის ფორმირება. საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის მმართველობითი ფუნქცია, უმჯობესია, პირველ ეტაპზე, საკონსულტაციო კომპანიამ აიღოს თავის თავზე, ცხადია, ტურიზმის სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით. პირველ ეტაპზე

მმართველი გუნდი 7-15 ადამიანით უნდა დაფორმირდეს. სასურველია, რომ მმართველ გუნდში შედიოდნენ როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე კერძო ბიზნესის და სამეცნიერო წრის წარმომადგენლები. *მეხუთე ეტაპი* ხედვის ჩამოყალიბება და კლასტერის განვითარების მიმართულებების დასახვა. ამ ეტაპზე უნდა განისაზღვროს, თუ როგორ მოახდენს ეკოტურიზმის კლასტერი განვითარებას. რეკომენდირებულია, რომ აქცენტი გაკეთდეს მდგრად განვითარებასა და საქართველოს ეკოტურისტული დესტინაციების პოპულარიზაციაზე. აუცილებელია განისაზღვროს რაოდენობრივი ინდიკატორები. *მეექვსე საფეხურზე* მიზანშეწონილია სტრატეგიის დასახვა და მეხუთე საფეხურზე დასახული ხედვის მიღწევისთვის საჭირო ნაბიჯების იდენტიფიცირება. *მეშვიდე საფეხური* მოიცავს მოკლევადიანი, ტაქტიკური სამუშაო გეგმის შემუშავება. აღნიშნულ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ისეთი მოკლევადიანი ღონისძიებები, რომლებიც არ საჭიროებენ დიდ ფინანსურ რესურსებს და ამავდროულად იძლევიან სწრად პრაქტიკულ შედეგებს. *მერვე ეტაპზე* უნდა მოხდეს კლასტერის ფორმალურად დაფუძნება. უნდა განხორციელდეს ეკოტურიზმის კლასტერის ოფიციალურად დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. აღნიშნულმა შესაძლოა რამდენიმე სახის სამეწარმეო ფორმა მიიღოს, ეს შეიძლება იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. *მეცხრე საფეხური* - მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერი ოფიციალურად დაარსდება, დროა კლასტერის სიღრმისეული ანალიზი განხორციელდეს, რისთვისაც პროფესიონალი ანალიტიკოსების და დარგის ექსპერტების ჩართულობაა საჭირო. *მეათე საფეხური* მეცხრე საფეხურის შესაბამისად სტრატეგიის შემუშავებას ოფიციალურად გულისხმობს. თუ თავდაპირველ ეტაპზე მხოლოდ მოკლევადიანი ინიციატივების ფორმირება განხორციელდა, ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ ეკოტურიზმის კლასტერმა შეიმუშაოს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. *მეთერთმეტე საფეხური* საერთაშორისო კავშირების ძიებას და რეგიონში არსებულ სხვა კლასტერებთან დაკავშირებას გულისხმობს. მას შემდეგ, რაც მოხდება ეკოტურიზმის კლასტერის ოფიციალურად ფორმირება და

შემუშავდება მისი განვითარების გრძელვადიანი გეგმა, აუცილებელია საჭირო კავშირების ფორმირება, რისი საუკეთესო გზა კი სხვა კლასტერებთან თანამშრომლობაა. *მეთორმეტე, ბოლო საფეხური გულისხმობს* გაზომვა და შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ ყოველ ეტაპზე ხორციელდებოდეს კლასტერის ქმედებების სტრატეგიული გადახედვა და შეფასება, რათა დროულად მოხდეს ხარვეზების აღმოფხვრა და სტრატეგიის კორექტირება.

ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კლასტერის ფორმირებას და მისი საწყისი ეტაპების განვითარებას გარკვეული ვადები და ბიუჯეტი ესაჭიროება. ვფიქრობ, რომ საქართველოს ეკოტურისტული კლასტერის იურიდიულად გაფორმებისა და აღნიშნული ეტაპების ეფექტურად შესრულებისათვის დაახლოებით, 2 წელი მაინც საჭიროა. ამასთან, შეუძლებელია რაიმე აქტივობების განსაზღვრა სახელმწიფო (ან სხვა) უწყების მხრიდან შესაბამისი ბიუჯეტის გამოყოფის გარეშე. საწყის ეტაპზე კლასტერის ნორმალური ფუნქციონირების დასაწყებად, სულ მცირე, 300,000 ლარის ინვესტიციის მობილიზება მაინც იქნება საჭირო. შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია დაინერგოს მცირე, სიმბოლური საწევრო გადასახადი, რომელიც მიზერულ კონტრობუციას შეიტანს კლასტერის განვითარებაში. აქვე მნიშვნელოვანია, რომ კლასტერის მმართველმა გუნდმა აქტიურად იმუშაოს ფონდების მოძიების, დონორთა ფინანსების მოპოვების და სპონსორების დაინტერესების საკითხებზე.

საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის ფორმირების შემდეგ, მისი მომავლის განსაზღვრისათვის, აქტუალურია მოხდეს როგორც ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების იდენტიფიცირება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოვლენილია ეკოტურიზმის კლასტერის მახასიათებლები, რაც დისერტაციაში წარმოდგენილია SWOT სახით. კვლევის შედეგები გვამღვეს ასევე საშუალებას, მოვახდინოთ საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის შესაძლებლობების იდენტიფიცირება კონკურენტუნარიანობის ამაღლების კონტექსტში. ვეხებით რა, კონკურენტუნარიანობის საკითხს, აღნიშნულის ილუსტრირებისთვის ნაშრომში

გამოყენებულია პორტერის კონკურენტუნარიანობის „ალმასის მოდელი“.

ეკოტურისტული კლასტერების საერთაშორისო მაგალითების განხილვამ საინტერესო ფაქტი გამოკვეთა. დღეის მდგომარეობით, არ არსებობს ონლაინ საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც ეკოტურისტული კლასტერების და ზოგადად, კლასტერების ფინანსურ სარგებლიანობაზე მოახდენდა ინფორმაციის გასაჯაროვებას. არაერთი ორგანიზაციის თუ პრესის ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციების მეშვეობით ცალსახად, ვრწმუნდებით კლასტერების პრაქტიკულ სარგებელზე, თუმცა, ფინანსური მაჩვენებლებით დადასტურებული საჯარო ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა მკვლევართათვის, საჯარო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენლებისათვის, რათა მათ ეკოტურიზმის კლასტერების შესახებ ფუნდამენტური დასკვნების გაკეთება შესძლებოდათ. კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობის სადემონსტრაციო მოდელის შემუშავებისთვის პირველ ეტაპს კლასტერ(ებ)ის შესახებ მონაცემთა ბაზის მოგროვება და საჯაროდ, ონლაინ სივრცეში დემონსტირება წარმოადგენს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ისეთი ონლაინ პლატფორმები, როგორცაა მაგალითად ევროპის კლასტერთა თანამშრომლობის პლატფორმა. პლატფორმა აერთიანებს ინფორმაციას მსოფლიოს არაერთი ქვეყნის კლასტერების შესახებ, თავს უყრის მსოფლიოს 1000-ზე მეტ კლასტერს, ავრცელებს ინფორმაციას სიახლეებზე, ღონისძიებებზე, გრანტებზე. ევროპის კლასტერთა თანამშრომლობის პლატფორმას საკმაოდ საინტერესო ინტერფეისი და კლასტერების საძიებო სისტემა აქვს. აღნიშნულის ბაზაზე, სასურველი იქნებოდა თუ დაემატებოდა ფინანსური ინფორმაცია, ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები და კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობა გახდებოდა მეტად გამჭვირვალე. კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობის სადემონსტრაციო მოდელში ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და გასაგები სახით. არსებობს არაერთი სახის ღია საინფორმაციო ბაზა (Open Data), რომლის მსგავსი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ეკოტურისტული კლასტერ(ებ)ის მონაცემთა

ბაზის მოგროვებისა და საჯაროდ, ონლაინ სივრცეში დემონსტრირებისათვის. მაგალითისთვის, შესაძლებელია განხილულ იქნას, World Council City Data-ს (WCCD) საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც აერთიანებს კონკურენტუნარიანობის გონიერ (Smart) ინდიკატორებს. მართალია, აღნიშნული წარმოადგენს მსოფლიოს ქალაქების ძირითადი მიკროეკონომიკის მაჩვენებლების სადემონსტრაციო პლატფორმას, თუმცა, მოცემული პლატფორმის ნიმუში შესაძლებელია გაინტეგრირდეს www.clustercollaboration.eu პლატფორმასთან და WCCD-ს სადემონსტრაციო ვიზუალით მოახდინოს კლასტერების ფინანსური მაჩვენებლების ძირითადი ინდიკატორების საჯაროდ რეპრეზენტაცია. ამგვარად, კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობის სადემონსტრაციო მოდელი მსოფლიო მნიშვნელობისაა, რადგან იგი არაერთ ქვეყანას კლასტერების წარმატების დემონსტრირებაში დაეხმარება.

ამრიგად, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ მოცემული ნაშრომის უდიდეს მიღწევას საქართველოსთვის ახალი ტერმინის „ეკოტურიზმის კლასტერის“ შემოღება და მისი დაარსების მოდელის შემუშავება წარმოადგენს. შესწავლილი და ფაქტებით დადასტურებულია ქვეყანაში მისი განუსაზღვრელი პოტენციალი, ხოლო თეორიული მასალებზე და ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით კი შემდეგი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას გვაქვს: კლასტერის დაარსების შემთხვევაში, 2030 წლამდე მასში გაწევრიანებული ორგანიზაციების რაოდენობა 400-ს გადააჭარბებს, ხოლო მათი სერვისებით მოსარგებლეთა რიცხვი კი 3 მილიონს მიაღწევს; კლასტერში გაწევრიანებული კომპანიების, სულ მცირე, 25% შემოსავლების გაორგამებას ყოველწლიურად შეძლებენ. აქვე, კლასტერი იქნება არა მხოლოდ წევრ ბიზნესების განვითარებაზე ორიენტირებული, არამედ მმართველი გუნდის მიერ მოხდება ეროვნული დონის ინიციატივების შეთავაზება და განხორციელება: 2030 წლამდე კლასტერის ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას, სულ მცირე, 3 ეკოტურისტული პროდუქტი, ასევე ინიცირება გაუკეთდეს, სულ მცირე, 1 საკანონმდებლო ინიციატივას ეკოტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად.

აღსანიშნავია, რომ მოცემული კვლევა ახალი კვლევის საგანს უდებს სათავეს და მომავალ თაობას საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის განვითარების პერსპექტივების და მახასიათებლების მეცნიერულ დონეზე შესწავლისკენ მოუწოდებს. ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში არ არსებობს პლატფორმა, რომელიც კლასტერების წარმატების დემონსტრირებას ფინანსურ მაჩვენებლებში ახდენს, ნაშრომში შემოთავაზებულია კლასტერების ეკონომიკური სარგებლიანობის სადემონსტრაციო მოდელი, რაც ასევე შემდგომი კვლევების ჩატარების და საკითხის ფუნდამენტურად შესწავლის საჭიროებას აყენებს დღის წესრიგში.

დასკვნა და რეკომენდაციები

მოცემული ნაშრომი დეტალურად აღწერს როგორც კლასტერებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ასპექტებს, ასევე ინტერვიუების და ანკეტირების მეშვეობით ახდენს ეკოტურიზმის, როგორც კლასტერისთვის პოტენციური დარგის ანალიზს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის ლიტერატურის თითქმის სრული უმრავლესობა კლასტერების მოდელის უპირატესობებზე მიუთითებს, დასტურდება, რომ კლასტერის ფაქტორები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოკვლეული და კლასტერის ეტაპობრივი განვითარების ანალიზი არ არის დასრულებული. მოცემული კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, კლასტერების და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის საკითხები შემდეგი სახით შეგვიძლია შევაჯამოთ:

1. მისი დაარსებისთანავე, კლასტერის განვითარების პერსპექტივა ადვილად გამოსაცნობია. ცხადია, არ არსებობს არანაირი გარანტია კლასტერი განვითარდება თუ არა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ როგორც კი პროცესი დაიწყება, მის შიგნით იგი ჯაჭვური რეაქციით განვითარდეს;
2. კლასტერების განვითარების პროცესში სამი მნიშვნელოვანი არეალი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ესენია:

ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა, ლოკაციის ზოგადი გარემო ახალი ბიზნესების ფორმირებისათვის, ფორმალური და არაფორმალური მექანიზმების ეფექტურობა კლასტერების მონაწილეთა თანამშრომლობისათვის;

3. ძალიან ბევრი კომპანია კლასტერის პირობებში ყალიბდება, რადგან ეს არის საუკეთესო პლატფორმა ინფორმაციაზე წვდომისთვის. ამასთან, კლასტერის პირობებში ბაზარზე შესვლის ბარიერები ძალიან დაბალია. მასში თავმოყრილია უამრავი აქტივი, უნარ-ჩვევები, საწარმოო მასალები, საჭირო კადრები და ა.შ.
4. კლასტერები ასრულებენ უმნიშვნელოვანეს როლს ცოდნის დაგროვების და ინოვაციების დანერგვის წახალისების კუთხით;
5. კლასტერი განსაკუთრებულად აძლიერებს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას;
6. კლასტერი ხელს უწყობს ისეთი ბიზნეს გარემოს ფორმირებას, რომელშიც ეკონომიკური კრიზისის მართვა და გაკონტროლება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შედარებით მარტივია;
7. კლასტერების წარმატება დამოკიდებულია მის ფარგლებში ინოვაციების გენერირების დონეზე;
8. განვითარებადი კლასტერები მუდმივად ეძებენ ხალხს და იძებნენ კლასტერის განვითარებისთვის. მზარდი კლასტერები იზიდავენ გამოცდილ კადრებს მათთვის სხვადასხვა საინტერესო შესაძლებლობების შეთავაზების გზით. ინიციატივიანი ადამიანები კი, თავის მხრივ, მარტივად მიგრირებენ სხვადასხვა ლოკაციების კლასტერებში, რადგან მზარდი კლასტერი ნიშნავს მეტ შესაძლებლობებს;
9. კლასტერის ფორმირებას საშუალოდ 10 წელი მაინც სჭირდება;
10. კლასტერის ფორმირებას ძირითად შემთხვევაში, სახელმწიფო უწყებები ახდენენ, თუმცა შესაძლებელია, ის კერძო სექტორის მიერ დაარსდეს, ან ხელოვნურადაც წარმოიშვას;
11. კლასტერის წარმატებული ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კერძო და საჯარო სექტორის შორის თანამშრომლობის (PPP) სტიმულირება;
12. კლასტერები ძირითადად დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისთვის, რადგან, როგორც წესი, განვითარებად

ქვეყნებში, კლასტერებს მოწინავე ქვეყნებისგან განსხვავებული მიზნები აქვთ;

13. რაც უფრო ძლიერია კლასტერის უპირატესობები და მეტად მოთხოვნად პროდუქტსა და მომსახურებას ქმნის იგი, მით ნაკლებია საერთაშორისო ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი კონკურენტების რაოდენობა;
14. ქვეყნის მასშტაბი არ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ აუცილებელ პირობას;
15. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მის მწარმოებლურობასა და ინოვაციების დანერგვის დონეზე;
16. ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამალეება განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ განვითარების სტრატეგიების ფორმირების პროცესში არიან და კლასტერები პრაქტიკაში დანერგილი ჯერ კიდევ არ აქვთ;

როგორც უკვე დასაბუთებულად ითქვა, კლასტერებსა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობას შორის პირდაპირპროპორციული კავშირია. თუ ქვეყანაში დარგები კლასტერული პრინციპით ვითარდება, იგი თავისთავად განაპირობებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდას. თუმცა, ქვეყნებმა ზუსტად უნდა მოახდინონ მაღალი სარგებლის მქონე დარგების იდენტიფიცირება, რათა სწორად შერჩეული დარგის განვითარებით მოახდინოს ქვეყანამ ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ნაშრომში ასეთ პერსპექტიულ დარგად ეკოტურიზმი დასახელებული. შეგვიძლია დადასტურებით ვთქვათ, რომ ეკოტურიზმის დარგში ინვესტირება ბიზნეს სექტორის და შესაბამისად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ერთიორად გააუმჯობესებს. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, ეკოტურიზმის კლასტერების შესახებ შეგვიძლია შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

1. ეკოტურიზმის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეშვეობით უნდა განხორციელდეს ადგილობრივად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

2. ეკოტურიზმი უმეტეს შემთხვევაში, მაღალმთიან, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში მოგზაურობას გულისხმობს;
3. მდგრადი ეკოტურიზმისთვის აუცილებელია გარემოს დაცვა და ბიზნესის განვითარებას შორის ოქროს შუალედის პოვნა.
4. ეკოტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე, რადგან იგი უზრუნველყოფს მაღალმთიან რაიონებამდე მიღწევადობას და ტურისტული პროდუქტებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდას;
5. ეკოტურისტების რაოდენობა მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 30%-ით იზრდება, ეკოტურიზმის გზით გაწეული დანახარჯები კი ტურიზმის სექტორში გაწეული დანახარჯების დაახლოებით 7%-ს შეადგენს;
6. ეკოტურიზმის განვითარება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ დარგში მცირე და საშუალო ბიზნესების წილი დიდია.
7. დღესდღეისობით, „ეკოტურისტული ბიზნესის“ სტატუსით არცერთი კერძო კომპანია არ სარგებლობს ქვეყანაში. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული კომპანიები იგივე სამეწარმეო ფორმით არიან დარეგისტრირებულნი, როგორც ნებისმიერი MICE ტურიზმის წარმომადგენელი ბიზნესი. სასურველია, ნაშრომში მოყვანილი კრიტერიუმების და მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოშიც მოხდეს, ეკოტურისტული ბიზნესის იურიდიული სტატუსის თუ არა, ე.წ. „იარლიყის“ მინიჭება მაინც, რაც მისცემს ბიზნესებს საშუალებას, ისარგებლონ გარემოსდაცვითი სტატუსით და იქონიონ წვდომა საგადასახადო შეღავათებზე;
8. ბოლო ტენდენციით, საქართველო ავსტრალიური მოდელისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისებებით ხასიათდება, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანა მის ლანდშაფტებს განიხილვას, როგორც ეკოტურიზმის განვითარების ძირითად მექანიზმს, სადაც აღნიშნული ლანდშაფტების წყალობით, შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და კეთილდღეობის შექმნა, ვიზიტორთა კმაყოფილების შექმნა;

9. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში ეკოტურიზმის ძირითად დესტინაციებს ეროვნული პარკები და სხვა დაცული ტერიტორიები წარმოადგენენ.
10. დაცული ტერიტორიების უცხო ქვეყნის ვიზიტორების და საქართველოს საერთაშორისო ვიზიტორების მონაცემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ჩამოსული ვიზიტორების 6% დაცულ ტერიტორიებს სტუმრობს. რესურსების გათვალისწინებით კი საქართველოს დაცულ ტერიტორიებს აქვს პოტენციალი, უმასპინძლოს გაცილებით მეტს;
11. სახელმწიფო ცდილობს მოახდინოს მსხვილი კერძო ბიზნესის შემოყვანა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, რათა მათ მიერ განხორციელებულმა მსხვილმა ინვესტიციებმა განაპირობოს ვიზიტორთა რაოდენობის მატება, ამ უკანასკნელმა კი შემდგომში მცირე და საშუალო ბიზნესის ეკოტურისტულ საქმიანობაში ჩართვის წახალისებას შეუწყოს ხელი;
12. გამოიკვეთა დაცულ ტერიტორიებზე ისეთი ეკოტურისტული სერვისები, რომლებიც საქართველოში ჯერ თითქმის არ არის დანერგილი, მსოფლიო ბაზარზე კი მასზე მოთხოვნა დიდია, ესენია: ფრინველებზე დაკვირვება, საწყალოსნო აქტივობები (ჯომარდობა, კაიაკინგი, კანიონინგი და სხვა), ლაშქრობა, საცხენოსნო ტურები და სხვა.
13. ბუნებაში მოგზაურობის პარალელურად, ეკოტურისტებისთვის საინტერესოა აგროტურიზმი და ეთნოკულტურული ელემენტები;
14. საქართველოში ეკოტურიზმის განვითარებისათვის გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ეკოტურისტული პროდუქტების დივერსიფიცირება და შესაბამისი სურვილების და საჭიროებების მქონე ვიზიტორებისთვის სპეფიციკური პროდუქტების შეთავაზება;
15. გამოიკვეთა ქვეყნის ხედვა, რომ მაღალი ტურისტული პოტენციალის არსებობის ფონზე, საქართველოსთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, სხვადასხვა მასშტაბური ღონისძიებების მასპინძლობა, რაც ხელს უწყობს ათიათასობით ვიზიტორის შემოსვლას ქვეყანაში;

16. საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის დაარსების ინიცირება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უნდა განხორციელდეს;
17. საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის მმართველობითი ფუნქცია, უმჯობესია, პირველ ეტაპზე, საკონსულტაციო კომპანიამ აიღოს თავის თავზე, ცხადია, ტურიზმის სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით;
18. ეკოტურიზმის კლასტერის დაარსებას საქართველოში დაახლოებით 2 წელი მაინც სჭირდება, საჭირო ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში;
19. ეკოტურიზმის კლასტერის დაარსების შემთხვევაში, პირველ ათ წელიწადში მოსალოდნელია კლასტერში კომპანიათა რაოდენობის 400-მდე მიღწევა, ეკო-ვიზიტორთა რაოდენობის კი, 3 მილიონამდე გაზრდა;
20. ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის მეშვეობით დადასტურდა დაცული ტერიტორიების ირგვლივ ეკოტურისტულ ბიზნესებში ჩართული მოსახლეობის მზაობა, გადადგან ქმედითი ნაბიჯები და ითანამშრომლონ სხვადასხვა კომპანიებთან, ეკოტურისტული კლასტერის შიგნით;
21. ეკოტურისტული კლასტერისთვის მნიშვნელოვან ფუნქციურ მახასიათებლად იქნა მიჩნეული ტერმინი „ownership“, რაც კლასტერის წევრების ერთსულოვნებას განაპირობებს და ეკოტურიზმის კლასტერის უდიდეს მოტოდ მიიჩნევა.

შეჯამების სახით, დასკვნები შემდეგი სახით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ:

- i. ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლასტერული პრინციპით განვითარებით მიიღწევა;
- ii. თუ ქვეყანაში დარგები კლასტერული პრინციპით ვითარდება, იგი უზრუნველყოფს მეტი კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში;
- iii. კლასტერული პრინციპით განვითარებისთვის, ქვეყანამ, პირველ რიგში, უნდა მოახდინოს მაღალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე დარგების იდენტიფიცირება;

- iv. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის ეკოტურიზმის დარგის მეტად განვითარება დიდი ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნება;
- v. უნდა მოხდეს ეკოტურიზმის ხაზგასმით გამოყოფა ტურიზმის სხვა მიმართულებებისგან და მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს;
- vi. თუ ეკოტურიზმის განვითარებისთვის ჩამოყალიბდება საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერი, იგი აუცილებლად უზრუნველყოფს დარგში მოღვაწე ორგანიზაციების სარგებლიანობის გაზრდას და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- vii. კვლევის შედეგები განაპირობებს იმ ფაქტის განმტკიცებას, რომ ეკოტურიზმის კლასტერის დაარსება საქართველოში აქტუალურია, სახელმწიფო და ადგილობრივი მოსახლეობა კი აცნობიერებს კლასტერის განვითარების როლს.

კვლევის შედეგები განაპირობებს იმ ფაქტის განმტკიცებას, რომ ეკოტურიზმის კლასტერის დაარსება საქართველოში აქტუალურია, სახელმწიფო და ადგილობრივი მოსახლეობა კი აცნობიერებს კლასტერის განვითარების როლს. იმისათვის, რათა ქვეყნებმა მიაღწიონ მაღალ კონკურენტუნარიანობას, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მუდმივად ავითარებდნენ კლასტერებს. კლასტერული პოლიტიკის გატარება უნდა იქცეს პრიორიტეტად ქვეყნისათვის და იგი შეტანილ უნდა იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებში. ქვეყნის მუდმივი ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია, რომ შეიქმნას მძაფრი კონკურენცია ქვეყნის შიგნით. მანამ, სანამ ქვეყანა კლასტერული პრინციპით დარგების განვითარებას მიჰყოფს ხელს აუცილებელია, რომ ძირფესვიანად მოხდეს ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების იდენტიფიკაცია, შესწავლა, და მხოლოდ მას შემდეგ დაიწყოს კლასტერული პოლიტიკის გატარება.

დასტურდება, რომ საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, დღევანდელ ცხოვრებაში ქვეყანაში ეკოტურიზმის კლასტერის

განვითარებაზე ფიქრი რეალურია და წარმატებით განხორციელების დიდი შანსი აქვს, თუმცა მის ფორმირებისას წარმოშობილ დეტალებს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს.

მიზანშეწონილია, რომ კლასტერი იმართებოდეს მმართველი გუნდის მიერ, რომელიც პირველ რიგში, მოახდენს კლასტერის ადმინისტრირებას, ხოლო შემდგომ იზრუნებს მის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის მმართველობითი ფუნქცია, უმჯობესია, პირველ ეტაპზე, საკონსულტაციო კომპანიამ აიღოს თავის თავზე, ცხადია, ტურიზმის სექტორის წარმომადგენელთა აქტიური ჩართულობით. პირველ ეტაპზე მმართველი გუნდი 7-15 ადამიანით უნდა დაფორმირდეს. მმართველი გუნდის ფუნქცია იქნება ასევე მის პოპულარიზაციაზე ზრუნვა და ფანდრაიზინგი, რათა ადმინისტრირების კუთხით კლასტერის მომავალს პრობლემა არ შეექმნას.

საქართველოს ეკოტურიზმის კლასტერის განხილვა უნდა მოხდეს სამიზნე ბაზრების მიხედვით: თუ ევროპის ბაზრისთვის ეკოტურიზმის კლასტერის მოთამაშეებმა აქტიურად უნდა იმუშაონ საქართველოს ბაზრის პოპულარიზაციაზე, ამერიკის და აზიის ქვეყნების შემთხვევაში, აუცილებელია აქტიური თანამშრომლობა სომხეთის და აზერბაიჯანის ეკოტურიზმის კლასტერებთან, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამერიკელმა და აზიელმა ვიზიტორმა ათასობით კილომეტრი მხოლოდ იმისთვის იფრინოს, რომ ერთ ქვეყანას ეწვიოს მხოლოდ. როგორც წესი, ისინი სტუმრობენ სამხრეთ კავკასიას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), ხშირ შემთხვევებში კი თურქეთსაც კი, მათ შორის. გამომდინარე იქიდან, რომ ეკოტურიზმი სწორედ ის დარგია, სადაც სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას დიდი როლი უკავია, დარგის განვითარებით შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

კიდევ ერთი უპირატესობა დარგისა არის ის, რომ ეკოტურიზმის განვითარებით, შემოსავლების გენერირება და ბრუნვა ძირითადად ქვეყნის შიგნით ხდება. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ

ეკოტურისტული სერვისების მიწოდებით, უცხო ქვეყნის ვიზიტორების მიერ გაწეული დანახარჯები რეგიონშივე რჩება. შესაბამისად, ფულადი რესურსის ე.წ. „გაჟონვა“ ქვეყნის გარეთ ნაკლებად ხდება.

მოცემული კვლევით გამოიკვეთა დაცულ ტერიტორიებზე ისეთი ეკოტურისტული სერვისების საჭიროება, რომლებიც საქართველოში ჯერ თითქმის არ არის დანერგილი, მსოფლიო ბაზარზე კი მასზე მოთხოვნა დიდია. შესაბამისად, რეკომენდირებულია შესაბამისი სტრუქტურების თუ ტურისტული სააგენტოების მიერ შემუშავდეს ფრინველებზე დაკვირვების ტურები, დაიგეგმოს მეტი საწყალოსნო აქტივობები (ჯომარდობა, კაიაკინგი, კანიონინგი) სხვადასხვა ლოკაციებზე, მოეწყოს საცხენოსნო ტურები და სხვა. კვლევამ ცხადყო, რომ ბუნებაში მოგზაურობის პარალელურად, ეკოტურისტებისთვის საინტერესოა ასევე აგროტურიზმი და ეთნოკულტურული ელემენტები. სასურველია, რომ სახელმწიფო მხრიდან გაკეთდეს გარკვეული შეღავათები იმ ბიზნეს ოპერატორებისთვის, რომლებიც ეკოტურიზმის კლასტერში გაერთიანდებიან.

კვლევის შედეგები და ზემოთ მოცემული რეკომენდაციები რომ შევაჯამოთ, ვფიქრობთ, რომ საქართველომ დროა გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ხელი მიჰყოს მაღალი პოტენციალის მქონე დარგების იდენტიფიცირებას და მათში ინვესტირებას. აღნიშნული გზით, იგი ერთი მხრივ, მოახდენს მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარებას, მეორე მხრივ, კი უპასუხებს მსოფლიოს გლობალურ გამოწვევას - ქვეყნების კონკურენტუნარიანობას. ეკონომიკური პოლიტიკა მაშინაა გამართლებული და შედეგის მომტანი, თუ ის გრძელვადიან შედეგებზეა ორიენტირებული. პოზიტიურ შედეგებს ეკონომიკაში კი სწორედ კლასტერული პოლიტიკა უზრუნველყოფს.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Tamar Khakhishvili

Ecotourism cluster as an effective tool to enhance competitiveness
of Georgia

Educational programme: Business Administration

Thesis is presented for obtaining of the
PhD Degree in Business Administration

Abstract

Tbilisi

2021

30

Grigol Robakidze University

Thesis Supervisors:

Shota Saghrishvili, Doctor of Engineering, Professor

Murtaz Kvirkvaia, Academic Doctor of Economics, Professor

Kenneth Paul Charman, Doctor of Philosophy, Professor; Consultant

The date of the thesis defense will be published on the university website
www.gruni.edu.ge

The defense of the thesis will be held at the Certification-Experts' Committee of Business and Management School of Grigol Robakidze University

Thesis is accessible at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi, N3 Irina Enukidze (Agmashenebeli Alley 13th km)

Table of content

Introduction	33
Research relevance and the essence of the problem	33
Research objectives and tasks	33
Research hypothesis	34
Scientific Literature Review and Theoretical Context of the Study ..	35
Methodology and Research Description	38
Research Results	38
Scientific findings	42
Conclusions and recommendations	46

Introduction

